

საკრალური ხეები მოდერნულ დროში, სოფელ ქულბაქის მაგალითზე

ანა კვიციანი

*სამაგისტრო ნაშრომი წარდგენილია ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის
მეცნიერებათა და ხელოვნების ფაკულტეტზე რელიგიის კვლევების მაგისტრის
აკადემიური ხარისხის მინიჭების მოთხოვნების შესაბამისად*

პროგრამა: რელიგიის კვლევები

სამეცნიერო ხელმძღვანელი: სოფო ზვიადაძე, ასოცირებული პროფესორი

ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტი

თბილისი, 202

განაცხადი

როგორც წარმოდგენილი სადისერტაციო ნაშრომის ავტორი ვაცხადებ, რომ ნაშრომი წარმოადგენს ჩემს ორიგინალურ ნამუშევარს და არ შეიცავს სხვა ავტორების მიერ აქამდე გამოქვეყნებულ, გამოსაქვეყნებლად მიღებულ, ან დასაცავად წარდგენილ მასალებს, რომლებიც ნაშრომში არ არის მოხსენიებული, ან ციტირებული სათანადო წესების შესაბამისად.

ანა კვიციანი

29.06.2022

აბსტრაქტი

ლექსუმში, სოფელ ქულბაქში ჯერაც შემორჩენილია საკრალური ხეების თაყვანისცემა. აქ ორი საკრალური ხე დგას ვერხვის ხე და მუხის ხე. ორივე ხე მჭიდროდაა გადაჯაჭვული სოფლის ტრაგიკულ ისტორიასთან: გადმოცემის თანახმად ვერხვის ხემ სოფლის ნაწილი წყალდიდობისგან იხსნა საუკუნეების წინ. მუხის ხის მოთხრა კი სოფლის გეგმური გადასახლების მაუწყებელი იყო.

ნაშრომი სოფელ ქულბაქის საკრალური ხეების მაგალითზე ვერნაკულარული რელიგიის თეორიის ჭრილში, ანალიზს უკეთებს და აღწერს საკრალურ ხეებთან დაკავშირებული რწმენა-წარმოდგენებს, მოდერნულ საქართველოში. კვლევა მოიაზრებს ვერხვის ხის დღესასწაულს სხვა დღესასწაულების ციკლის ნაწილად და იკვლევს თუ რა მნიშვნელობის მატარებელია საკრალურ ხეები სოფლის მოსახლეობისთვის.

კვლევისთვის გამოყენებული იქნა თვისობრივი კვლევა, კონკრეტულად კი ეთნოგრაფიული მიდგომა. კვლევის პროცესი მოიცავდა სამაგიდო კვლევას, საველე გასვლებს, სიღრმისეულ ინტერვიუებს სოფლის მაცხოვრებლებთან და დღესასწაულის აუდიო-ვიზუალურ გადაღებას.

საკვანძო სიტყვები: ვერნაკულარული რელიგია, საკრალური ხეები, ეთნოგრაფია, მოდერნულობა.

Abstract

In Letskhumi, in the village of Kulbak, the worship of sacred trees is still preserved. There are two sacred trees, an aspen tree and an oak tree. Both trees are closely intertwined with the tragic history of the village: an aspen tree is said to have saved part of the village from flooding centuries ago. The cutting of the oak tree was the herald of the planned relocation of the village.

Using the example of the sacred trees of the village of Kulbaki, the paper analyzes and describes the beliefs and ideas related to the sacred trees in modern Georgia in terms of the theory of vernacular religion. The study considers the aspen Tree festival as part of a cycle of other festivals and explores the significance of sacred trees for the rural population.

Qualitative research, specifically the ethnographic approach was used for the study. The research process included desk research, field trips, in-depth interviews with villagers, and audio-visual filming of the holiday.

Keywords: Vernacular religion, Sacred trees, Ethnography, Modernity.

მადლობა

მადლობას ვუხდი ჩემი სამაგისტრო ნაშრომის სამეცნიერო ხელმძღვანელს, ილიას უნივერსიტეტის ასოცირებულ პროფესორს, რელიგიის კვლევების პროგრამის ხელმძღვანელს ქალბატონ სოფო ზვიადაძეს, საველე სამუშაოებისა და წერის პროცესში მისგან მიღებული პროფესიული რჩევები და დახმარება შეუფასებელია. ასევე, მადლობა კონრად ადენაუერის ფონდს სტიპენდიისთვის, რომლის ფარგლებში შევძელი კვლევის დაწყება და დასრულება. მადლობა ავთანდილ ხორავას, რომლის დახმარების გარეშეც, ვერხვობის დღესასწაულის კამერაზე დოკუმენტირება და მთლიანად ამ კვლევის წარმოება ვერ მოხერხდებოდა. მადლობა დაჩი კალანდაძეს, რომელიც მანუგეშებდა და ჩემთან ერთად განიცდიდა მსხვერპლშეწირვის პროცესს. მადლობა ქრისტინე მარკოზიას, რომელიც კვლევის დაწყების დღიდან - დასრულებამდე ჩემი ერთ-ერთი მთავარი მხარდამჭერი და საყრდენი იყო. თინათინ მაგრაქველიძეს, რომელიც ყოველთვის მამხნევებდა და არც ამ კვლევის გრამატიკული გამართვა დაიზარა. ქეთი ლაფაჩს, რომელიც ყოველთვის მზად იყო თავისი ცოდნა და გამოცდილება გაეზიარებინა. ლაშა მძელურს, რომელიც მუდმივად მახსენებდა, რომ სამაგისტრო მქონდა საწერი და ჯობდა მისთვის უფრო ხშირად დამეჯერებინა. ასევე, ლიკა ლაზიშვილს, რომელიც წერის პროცესში სამყაროსთან დამაკავშირებელი ჯაჭვი იყო და რუსუდან აფციაურს ყოველთვის, რომ იცოდა როგორ დავემშვიდებინე. მადლობა ბექა მინდიაშვილს მასალების მოძიებაში დახმარებისთვის და ნინიკო ლეკიშვილს, აბსტრაქტის თარგმნის თავის თავზე აღებისთვის. ბოლოს დიდი მადლობა ქულბაქის მცხოვრებლებს, რომლებიც ზოგჯერ ეჭვით, მაგრამ მაინც ყოველთვის სცემდნენ პასუხს ჩემს კითხვებს.